ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 43

20 ნოემბერი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-032031836-03; 13.11.2020).

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიმდინარე სხდომაზე განიხილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ასახავს პანდემიით გამოწვეულ იმ განსაკუთრებულ ვითარებას, რომელშიც საქართველო ამჟამად იმყოფება.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა სიტყვა გადასცა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენის მიზნით.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ პირველადი პროექტით, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 840 მლნ. ლარს. ბიუჯეტს ძირითადი დანაკლისი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ნაწილში აქვს 20 მლნ. ლარის ოდენობით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ნაწილში კი კლება 45 მლნ. ლარს შეადგენს. მისი განმარტებით, ბიუჯეტი სხვა მიმართულებებითაც შემცირდა, თუმცა არა მნიშვნელოვნად. მერიის წარმომადგენლის თქმით, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 840 მლნ. ლარს მოიცავს, რომელიც დედაქალაქის მერიის ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, საჭიროებს გაზრდას. ასეთი ვალდებულებები, დაახლოებით, 120-130 მლნ. ლარს შეადგენს, რასთან დაკავშირებითაც, თბილისის მერიას ჰქონდა მოლაპარაკება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და იგეგმება აღნიშნული ტრანსფერის მიღება. ბატონი გაიოზის თქმით, აღნიშნული ტრანსფერის მიღების შემდეგ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტი სავარაუდოდ 965 მლნ. ლარამდე გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს გარდამავალი პროექტების განხორციელებას და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით პროგრამების შესრულებას.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის თქმით, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი განათლების მიმართულებით არ შემცირებულა და საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურული სამუშაოების გასაგრძელებლად კვლავ გათვალისწინებულია შესაბამისი ასიგნებები.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონი თამარ ტალიაშვილი დაინტერესდა, თუ როგორ არის გადანაწილებული დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები კულტურის მიმართულებით, რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს თანხებს მუნიციპალური ხელოვნების სკოლების პედაგოგთა შრომის ასანაზღაურებლად; ბატონი გაიოზის თქმით, გაგრძელდება ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაცია, რომელსაც თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს; აგრეთვე, გაგრძელდება კულტურის პროგრამების დაფინანსება. შესაბამისად, გაგრძელდება ყველა პროგრამა,

რომელიც დედაქალაქს აქვს კულტურის სფეროს განვითარებისა და აქ დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობისთვის.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის თანამედროვე საბალეტო დასს სჭირდება ახალი შენობა, რაც არ არის ასახული თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში; ასევე, პროექტით, გათვალისწინებულია მხოლოდ სამი საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღის აშენება, მაშინ როდესაც შვიდი საბავშვო ბაღის დემონტაჟი მოხდა; კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა პროექტი - „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი", რომლისთვისაც თბილისის მუნიციპალიტეტი 12 მლნ. ლარის გათვალისწინებას ისახავდა მიზნად და ღონისძიებები პანდემიურ ვითარებასთან შესაბამისობაში დაიგეგმა. თუმცა დღეისთვის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი თანხა არა არის გამოყოფილი და სულ მცირე, 4 მლნ. ლარის გათვალისწინებაა აუცილებელი. კომისიის თავმჯდომარის თქმით, აღნიშნულ საკითხზე მან იმსჯელა დედაქალაქის მერის მოადგილესთან, ბატონ ირაკლი ხმალაძესთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ტრანსფერის გამოყოფის შემდეგ, ხსენებული საკითხი აუცილებლად დადგება დღის წესრიგში, რათა თბილისმა წარმატებით უმასპინძლოს ამ ისტორიულ ღონისძიებას, რომელზე დასწრებას გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური მდივანი აპირებს. ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიას მიაჩნია, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტში თანხების გამოყოფა პროექტისთვის - „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" არის თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულება და არა არჩევანი, მით უმეტეს, რომ პროექტისთვის საჭირო თანხები 12-დან 4 მილიონ ლარამდეა შეკვეცილი. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს; თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს 2021 წლის აპრილიდან იძენს, რისთვისაც თბილისის მუნიციპალიტეტი წინასწარ ემზადებოდა, რომლის ფარგლებშიც გარემონტდა ბიბლიოთეკები, შეივსო წიგნადი ფონდი, თუმცა კვლავ შესასრულებელია რიგი აქტივობები.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ პროექტზე - „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" თბილისის მერია ორი წელიწადია მუშაობს და ფინანსური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, კვლავ გაგრძელდება. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მადლობა გადაუხადა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს პროექტის მხარდაჭერისთვის.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ განმარტა, რომ პროექტი - „თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" მართლაც განსაკუთრებულია და ამიტომაც საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა. ამასთან, ისვე დაინტერესდა შემცირდა თუ არა ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ასიგნება,

რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა, რომ დაფინანსება არ შემცირებულა და აღნიშნული სასახლის რეაბილიტაციას თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს. ქალბატონმა მარიკა დარჩია ასევე დაინტერესდა, გრძელდება თუ არა მზიურის ტერიტორიაზე მედიათეკის მშენებლობა, რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ თბილისის მერიის მიერ დაწყებული მშენებლობები მომდევნო წელსაც გაგრძელდება.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის განახლება, რაზეც მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ წელს მიმდინარე სამუშაოები დასრულდება, ამასთან, თბილისის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური დამატებით ითხოვს სახსრების გამოყოფას თეატრის სარემონტო სამუშაოებისთვის, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის თეატრის ადაპტირებას, რაც ჯერჯერობით არ არის ასახული წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, თუმცა სამინისტროდან ტრანსფერის მიღების შემდეგ სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება დაახლოებით, 1.6 მლნ. ლარის გამოყოფა და პროექტის 2021 წელშიც გაგრძელება.

ქალბატონმა გულია გოცირიძემ ასევე ითხოვა დაზუსტება, მოხდება თუ არა იმ ბაღების აშენება, რომელთა დემონტაჟიც მოხდა მიმდინარე წელს, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ კორონა ვირუსის მიერ შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტი ნაცვლად შვიდი ახალი ბაღის აშენებისა, ითვალისწინებს სამის აშენებას, თუმცა პანდემიის პირობებში, როდესაც საჯარო ბაღები არ ფუნქციონირებს, თბილისის მუნიციპალიტეტი მათ საკვებით უზრუნველყოფს, რაც არაჩვეულებრივი და მნიშვნელოვანი პროექტია.

ქალბატონი გულია გოცირიძე აგრეთვე დაინტერესდა ბიბლიოთეკებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ანაზღაურების საკითხით, ასევე, დაიწყებოდა თუ არა გლდანში ახალი ბიბლიოთეკის აშენება. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბიბლიოთეკარებს უნარჩუნდებათ ხელფასი, ხოლო ბაღის თანამშრომლებს ანაზღაურება მიმდინარე წლის სექტემბრიდან 15-20%-ის ფარგლებში გაეზარდათ და პანდემიის პირობებში შეუფერხებლად იღებენ. ახალ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, კი სხდომაზე განიმარტა, რომ ახალი მშენებლობა ვერ დაიწყება, 2021 წელს პანდემიიდან გამომდინარე გაგრძელდება უკვე დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ძალიან შემცირებულია კულტურისთვის გათვალისწინებული თანხა. დეპუტატის თქმით, აღნიშნული ბიუჯეტის პროექტით, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლებისა და ორგანიზაციებისთვის ბევრ პრობლემას წარმოშობს და რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ბატონ ვაჟა ოთარაშვილს, დაეკონკრეტებინა, დედაქალაქის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის რომელ ნაწილში ცვლილებას გულისხმობდა, რაზეც ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ იგი საერთოდ არ ეთანხმება კულტურის სახელმწიფო პოლიტიკას.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძე აღნიშნა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდებოდა და წელს, პანდემიის გამო, მისმა შემცირებამ კომისიის წევრთა უკმაყოფილება გამოიწვია. აქვე, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი გაცილებით მცირე იყო 2014 წელს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თამარ ტალიაშვილმა, გაიოზ თალაკვაძემ, მარიკა დარჩიამ, გულია გოცირიძემ, ვაჟა ოთარაშვილმა, ვლადიმერ ძნელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთვის სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ, კომისიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- განათლებისა და კულტურის კომისია, ისევე როგორ გასულ წლებში, რეკომენდაციას უწევს კულტურის ობიექტების მოდერნიზაციას, მათ შორის, მუზეუმების, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლების, ბიბლიოთეკებისა და საგამოფენო სივრცეების განახლების პროცესის გაგრძელებას, მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას; ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლასა და დაცვას. კულტურული და საგანმანათლებლო ობიექტებისა და ღონისძიებების განვითარებასა და დედაქალაქის გარეუბნებში განშლას.

  კომისია განმარტავს, რომ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და ზოგადად, დედაქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თბილისი 2021 წლის წიგნის მსოფლიო დედაქალაქი იქნება. წიგნის მსოფლიო დედაქალაქი ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2002 წელს, იუნესკო-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით

დაარსდა და მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების, გამომცემლების ხელშეწყობას. თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს 2021 წლის აპრილში ერთი წლის ვადით გადმოიბარებს და ამ დროის მანძილზე აუდიტორიას მრავალფეროვან ღონისძიებებს შესთავაზებს. დაგეგმილია გახსნით და ძირითად ღონისძიებებში იუნესკო-ს წარმომადგენლებისა და საკონსულტაციო კომიტეტის წევრების მონაწილეობა. საქართველოსთვის აღნიშნული პროექტის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კომისია რეკომენდაციას უწევს შესაბამისი ოდენობის თანხების მობილიზებას პროექტის მაღალ დონეზე განხორციელების უზრუნველსაყოფად.

- პანდემიის გამო, თბილისის საჯარო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში შეწყდა და მცირე ხნით ოქტომბერში განახლდა. ბავშვთა მრავალფეროვანი კვებითი რაციონის შესანარჩუნებლად თბილისის მუნიციპალიტეტმა დაიწყო საკვების გაცემა, რომელიც ახლაც გრძელდება. სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტის მიუხედავად, საბავშვო ბაღების თანამშრომლებს შეუნარჩუნდათ და დაპირებისამებრ, გაეზარდათ ხელფასები.

  როგორც მოგეხსენებათ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 2020 წელს განახორციელა ავარიული ბაღების შენობების დემონტაჟი და დაგეგმა მათ ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა, თუმცა აღნიშნული პროექტების მხოლოდ ნაწილი (3 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა) იქნა გათვალისწინებული დედაქალაქის 2021 ბიუჯეტის პროექტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს, რომ თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში აისახოს თანხა გლდანის, დიდუბის, ისნისა და სამგორის რაიონებში მდებარე იმ დარჩენილი 7 საბავშვო ბაგა-ბაღის ეტაპობრივი მშენებლობისთვის, რომელთა დემონტაჟიც განხორციელდა.

- განათლებისა და კულტურის კომისია რეკომენდაციას უწევს პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის (კოდი 07 04) ფარგლებში მოქმედ მუნიციპალურ პროგრამაზე "ისწავლე და დასაქმდი" დამატებითი თანხების მობილიზებას, რომლითაც განხორციელდება პანდემიით დაზარალებული და სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადება და ხელი შეეწყობა მათ დასაქმებას.

მომხრე ----------	6
წინააღმდეგი ----------	1 (კომისიის წევრი, ბატონი ვაჟა ოთარაშვილი)
თავი შეიკავა ----------	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა: კომისია მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთვის სხდომაზე განსახილველად გადაცემას, კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი